# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №34

**2024 წლის 28 ივნისი**

**ქ. ბათუმი**

**ქალაქ ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილის მე-2 შესახვევის №16-ში და აფსაროსის გზატკეცილის მე-2 შესახვევის №16-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.36.22.130; ს/კ 05.36.22.618) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

ქალაქ ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილის მე-2 შესახვევის №16-ში და აფსაროსის გზატკეცილის მე-2 შესახვევის №16-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.36.22.130; ს/კ 05.36.22.618) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.

**მუხლი 2**

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.36.22.130; ს/კ 05.36.22.618) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $к^{1/2}$ მაჩვენებლის 10%-ის ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იმავე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

**მუხლი 3**

განემარტოს შპს „სეიფ ინვესტს“ (ს/ნ 445706095), რომ იგი ვალდებულია საპროექტო ობიექტის სიმაღლე შეათანხმოს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან“.

**მუხლი 4**

განემარტოს შპს „სეიფ ინვესტს“ (ს/ნ 445706095), რომ იგი ვალდებულია დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 26 ივნისის №01-01-10/5209 წერილით დადგენილი პირობები.

**მუხლი 5**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** **რამაზ ჯინჭარაძე**